საჯარო სამართლის
იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების
სააგენტო

ს/კ 202178927

Legal Entity of Public Law

SOCIAL SERVICE
AGENCY

KA030439662095420

საქართველო, თბილისი 0119; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 510 047; 510 048; 510 049

144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 510 047; 510 048; 510 049

№ 04/10238 **05 / მაისი / 2020 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის
უფროსს, პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელს, ბატონ ბექა ჯაყელს

ბატონო ბექა,

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“ საქართველოს, შრომის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 11 ნოემბრის N01-342/ო ბრძანების პირველი მუხლის „ე“ პუნქტის შესაბამისად, შესათანხმებლად წარმოგიდგენთ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ 2020 წლის განმავლობაში განსახორციელებელი სახელმწიფო შესყიდვების კორექტირებულ გეგმას დანართის მიხედვით. ამასთანავე მოგახსენებთ, რომ გეგმის ცვლილება განპირობებულია შემდეგი გარემოებით:

1. სააგენტოს ესაჭიროება ,,დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაცია“ სახელმწიფო პროგრამის ჰემოდიალიზის კომპონენტით მოსარგებლე პაციენტთა სატრანსპორტო საშუალებებით მომსახურება (ქ.თბილისის მასშტაბით, 1 (ერთი) სამედიცინო დაწესებულებაში - კვირაში სამჯერ). (გამარტივენული შესყიდვა ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების აუცილებლობით) ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სოციალური მომსახურების სააგენტოს ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დეპარტამენტის უფროსის მოხსენებითი ბარათის N04-4026 თანახმად, საჭიროა ,,დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაცია“ სახელმწიფო პროგრამის ჰემოდიალიზის კომპონენტით მოსარგებლე პაციენტთა სატრანსპორტო საშუალებებით მომსახურება (ქ.თბილისის მასშტაბით, 1 (ერთი) სამედიცინო დაწესებულებაში - კვირაში სამჯერ) შესყიდვა:

აღნიშნულიდან გამომდინარე, გეგმას დაემატა CPV კოდი 60100000 (საავტომობილო ტრანსპორტის მომსახურებები); რიგითი ნომერი თანდართულ ცხრილში - 48) და მისი ღირებულება განისაზღვრა 3 500 ლარით.

დანართი: სახელმწიფო შესყიდვების გეგმა - Excel-ის ფორმატის 1 (ერთი) ფაილი.

პატივისცემით,

დირექტორის მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან გოგოძე